სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება
№20-110417-01

ქ. გარდაბანი, 11 აპრილი, 2017 წ.

შპს "გარდაბნის თბოსადგური" ს/კ 404428071, (შემდგომში ,,შემსყიდველი'') გენერალური დირექტორი ლაშა მგელაძე და შპს "აუტოტესტ გეორგია ", ს/კ 405041119, დირექტორი ვაჟა იორდანიშვილი (შემდგომში „შემსრულებელი"), სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის 9 მუხლის 3[1] პუნქტის „ა" ქვეპუნქტის საფუძველზე ვთანხმდებით შემდეგზე (შემდგომში „ხელშეკრულება"):

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. "მიმწოდებელი" იღებს ვალდებულებას ჩაუტაროს "შემსყიდველის" ავტოსატრანსპორტო საშუალებებს Hyundai County-OO780GG და Hyundai County-CC280OO გზისთვის ვარგისობაზე სავალდებულო პერიოდული ტესტირება შემდგომში "მომსახურება". CPV71630000

2. სამუშაოების ჩატარების წესი

2.1. გაწეულ "მომსახურებაზე", მხარეები ადგენენ მიღება ჩაბარების აქტს, რომელშიც მითითებული უნდა იყოს ამ მომსახურების აღწერა („ტესტირების ბარათის" და „ფირნიშის" გაცემა), შესრულებული სამუშაოების ფასი და საერთო ღირებულება.

3. მხარეთა უფლება-მოვალეობები

3.1. "მიმწოდებელი" იღებს ვალდებულებას:

3.1.1. უზრუნველყოს მომსახურება "შემსყიდველის" მოთხოვნის შესაბამისად **2017 წლის 12 აპრილამდე**.

3.1.2. უზრუნველყოს ჩასატარებელი სამუშაოების დროულად, გონივრულ ვადაში შესრულება.

3.1.3 გზისთვის ვარგისობაზე სავალდებულო პერიოდული ტესტირების ჩატარებისთანავე გასცეს „ტესტირების ბარათი" და „ფირნიში", რომელთა მოქმედების ვადაა 1 წელი.

4. ხელშეკრულების ფასი და ანგარიშსწორება

4.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულებაა 202 (ორას ორი) ლარი დღგ-ს ჩათვლით.

4.2. "შემსყიდველი" გადაუხდის "მიმწოდებელს" მიღება ჩაბარების გაფორმებიდან და ანგარიშ-ფაქტურის დადასტურებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

5. ხარისხი

5.1 გაწეული მომსახურების ხარისხი და გაცემული დოკუმენტი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას, ამ სფეროში არსებულ სტანდარტებს და მოთხოვნებს.

6. მხარეთა პასუხისმგებლობა

"შემსყიდველი" უფლებამოსილია სამუშაოების შეუსრულებლობის, არაჯეროვნად შესრულების და/ან ხელშეკრულებაში მითითებული ვადების გადაცილებისას დააკისროს "მიმწოდებელს" პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი სამუშაოების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით. შემსყიდველი უფლებამოსილია ანგარიშსწორებისას მიმწოდებელს გამოუქვითოს პირგასამტეხლოს სახით მასზე დარიცხული თანხა.

6.2. გადახდის ვადის გადაცილებისას "მიმწოდებელი" უფლებამოსილია დააკისროს "შემსყიდველს" საურავი ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, გადაუხდელი თანხის 0,1%-ის ოდენობით.

6.3. მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი დარღვევის და/ან შეუსრულებლობისას მეორე მხარეს უფლება აქვს წერილობით მიუთითოს მას აღნიშნულ გარემოებაზე და მოსთხოვოს მისი გამოსწორება გონივრულ ვადაში (რაც ფორმდება შეტყობინების სახით), ხოლო შეტყობინებაში მითითებული ვადის გასვლის შემდეგ, მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება ან/და ხელშეკრულებიდან გასვლა.

6.4. ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობა.

6.5. "მიმწოდებლის" მიერ ჯარიმისა და პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მას ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვნად შესრულების მოვალეობისაგან.

6.6. მხარეების მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა და/ან დარღვევა გამოიწვევს მათ პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

6.7 ხელშეკრულების ნაწილობრივი შესრულებისას შემსყიდველი უფლებამოსილია დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო შესასრულებელი ვალდებულების შესაბამისი ღირებულების არაუმეტეს 10%-ის ოდენობით.

6.8 ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის შემსყიდველი უფლებამოსილია განსაზღვროს პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების არაუმეტეს 20%-ის ოდენობით;

6.9. "მიმწოდებლის" მიერ პირგასამტეხლოს გადახდა, სამოქლაქო კოდექსით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, არ ათავისუფლებს მას ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვნად შესრულების მოვალეობისაგან.

7. ფორს-მაჟორი

7.1. მხარეები თავისუფლდებიან ვალდებულებების შესრულებისაგან ისეთი გადაულახავი ფორს-მაჟორული გარემოების დადგომისას, როგორიც არის ომი, ხანძარი, სტიქიური უბედურებები, სახელმწიფო ხელისუფლების გადატრიალება, სახელმწიფო ორგანოს მიერ გაცემული აქტი და სხვა პირობები, რომლებიც აფერხებენ და შეუძლებელს ხდიან მხარეების მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობების განხორციელებას.

7.2. მხარეები ვალდებული არიან წერილობით აცნობონ ერთმანეთს ფორს-მაჟორული გარემოების არსებობის შესახებ მათი დადგომიდან 24 საათის განმავლობაში.

7.3. წერილობით შეტყობინებაში მითითებული ფაქტები დადასტურებული უნდა იქნას კომპეტენტური ორგანოს მიერ. დადასტურება არ არის საჭირო, თუ აღნიშნული ფაქტები ცნობილია საზოგადოდ.

7.4. მხარეები ანახლებენ თავიანთი ვალდებულებების განხორციელებას ფორს-მაჟორული გარემოების აღმოფხვრისთანავე.

8. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

8.1. "შემსყიდველს"უფლება აქვს განახორციელოს "საქონლის" კონტროლი და/ან გამოცადოს საქონელი.

8.2. "მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულებისა და მისი დანართ(ებ)ის შესრულებაზე კონტროლს ახორციელებს "შემსყიდველის" მიერ შექმნილი ინსპექტირების ჯგუფი, რომლის ფუნქციაა საქონლის მოცულობის, ხარისისხისა და ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით სათანაზედამხედველობის განხორციელება.

9. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

9.1. ხელშეკრულების მონაწილე არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

9.2. დაუშვებელია ხელშეკრულებაში იმგვარი ცვლილებების შეტანა, რომლის შედეგად შემსყიდველისათვის უარესდება მისი პირობები, გარდა სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე

მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომისას დაუშვებელია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

9.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით შეთანხმების სახით, რომელიც თან დაერთვება ხელშეკრულებას და ჩაითვლება მის განუყოფელ ნაწილად.

10. ხელშეკრულების ძალაში შესვლა და მოქმედების ვადა

10.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს **2017 წ 13 მაისამდე.**

10.2. ხელშეკრულების შესაბამისი მუხლები ძალაში რჩება მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულ ამოწურვამდე.

11. სხვა პირობები

11.1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 2 (ორ) ეგზემპლარად.

11.2 ხელშეკრულების ცალკეული მუხლის და/ან პუნქტის ბათილობა ან ძალადაკარგულად ცნობა არ ახდენს გავლენას მთლიანად ხელშეკრულების ან მისი დანართების ნამდვილობაზე.

11.3. ნებისმიერი შეტყობინება მხარეთა შორის წარმოებს წერილობით ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.

11.4 ხელშეკრულების არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობები.

მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი: **შპს "გარდაბნის თბოსადგური"** მის. ქ. გარდაბანი, დავით აღმაშენებლის 2ბ ს/კ: 404428071 ტელ. 995 32 299-1201 (დამ 308), 555 254747 **გენერალური დირექტორი** ლ.მგელაძე	მიმწოდებელი: **შპს "აუტოტესტ გეორგია „** მის: თბილისი, სოფელი დიღომი, ჩალიპირები. ს/კ: 405041119 ბანკი: სს „თიბისი ბანკი", ბ/კ TBCBGE22 ა/ა GE51TB7683836080100003 ტელ. 2 531009 **დირექტორი** ვ.იორდანიშვილი